№ 251. 1 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1881 1 დეკემბერი, სამშაბათი. № 251

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. თვ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.
„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., [illegible] სტრიქონზე ნახევარი კაპ. [illegible] სტრიქონზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმით და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საზაფხულო თეატრში
მეორე აბონემენტის რიცხვში
ოთხშაბათს, 2 დეკემბერს
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ორ ცეცხლს შუა

დრამა 3 მოქმ., ემილ დე-ჟირარდენისა, ნათ. ფრანც. ივ. მაჩაბლისაგან.

II

საძაგელი

კომედ. 2 მოქმ. თ. დ. ერისთავისაგან.
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი $7 \frac{1}{2}$ საათზე.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 29 ნოემბერს. გაზეთ „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია: ხმა არის, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ინიშნება კავკასიის არმიის მთავარ-სარდლად და ამასთანავე სამოქალაქო უწყების მთავარ-მმართებლად. კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობა მოისპობა. ამას გარდა კავკასიის გამგეობაში შემდეგი ცვლილება მოხდება: სტავრაპოლის გუბერნია და ყუბანის მაზრა (область) ჩამოეცლება კავკასიას და გადავა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობაში და იქაური ჯარები ჩაირიცხება ხარკოვის სამხედრო მაზრის ჯარში. შავი-ზღვის მაზრა ყუბანის მაზრას შეუერთდება, სოხუმის სამხედრო მაზრა შეუერთდება ქუთაისის გუბერნიას; ზაქათლის მაზრა—თფილისის გუბერნიას. ისმის აგრეთვე, რომ ბათუმის მაზრასაც ქუთაისის გუბერნიას შეუერთებენო: დანარჩენი ცვლილება კავკასიის მხრის სამოქალაქო გამგეობაში მოხდება შემდეგ, როდესაც თ. დონდუკოვ-კორსაკოვი დაივლის კავკასიას.

პეტერბურგი, 28 ნოემ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: ოსპეკუნის საბჭომ გადაწყვიტა, რომ 10% (სამი ათას თუმანს) მისცემს იმ პირს, რომელიც აღმოუჩენს ქურდს იმ 300,000 მანეთისას, რომელიც მელნიცკის დაეკარგა.

ვენა, 27 ნოემ. ვენის დიდი თეატრი დაიწვა. მთელი ქალაქი მგლოვიარებაშია ამ უბედურებისაგან; პარლამენტი და ბირჟა დაკეტილია; ჯერჯერობით ექვსას სულზე მეტი აღმოჩნდა დამწვარი და დამღრჩვალი ამ ცეცხლის დროს; ყველგან ფულს აგროვებენ დამწვართ ცოლ-შვილის სასარგებლოდ.

## ახალი ამბები.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება პეტერბურგიდამ მიღებული თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზედ კავკასიის მთავარ-მმართებლად და ზოგიერთ ცვლილებაზედ ჩვენის მხრის გამგეობაში. ამ საგანზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ . . . . . . . .

* * *

მეორე საყურადღებო ამბავი, რომელიც აგრეთვე ტელეგრამამ მოგვიტანა ამას წინად, არის სენატორის რევიზიის დანიშვნა კავკასიისათვის.

* * *

ახალ სენაკიდამ გვწერენ:

„28-ს ნოემბერს ნაშუაღამევის მესამე საათზე, როდესაც აქ, საზოგადოდ, მიყუჩებულ მიძინებულია ხალხი, გაუჩნდა ცეცხლი აქაური ვაჭრის ჯ. თავლას, სადაც უდგა მას მედროვე, ორი ცხენით თავის სამკაულებით. თავლის ხე ხეზედ აღარა დარჩენილა, შიგ გამოიწვა ორი დროგის ცხენი და ამათი საკვები თივა და სიმინდი.

„გარდა ამისა ამ ცეცხლის წაკიდებამ იმსხვერპლა: ოთხი ხუთი დაძველებულ-დამპალი ხის დუქნები, რომლებშიაც არავინ არც ვაჭრობდა და არც სცხოვრობდა, და ერთი, ისიც ამ გვარი, ხის სამზარეულო ერთის ჩინოვნიკისა, რომელსაც ედგა შიგ ორი საქონი შეშა, და მცირედი ზამთრისათვის მომზადებული ხორაგეულობა.

„ცეცხლი, თუმცა ქარიც იყო, მაგრამ მალე გააქრეს, ასე რომ მეოთხე საათის ნახევარზე აღარაფრის შიში აღარ იყო. ზარალი ბევრი არაფერია. რა ნაირად გაჩნდა ცეცხლი და ვინ იყო მიზეზი ჯერ არ ვიცით.

* * *

ჩვენი ახალ-ციხელი კორრესპონ-

«დროების» ფელეტონი, 1 დეკემ.

### ელგუჯა *)

(მოთხრობა)

მათიამ გაიღო კარები მაგრამ მაშინვე გაკვირვებული უკან მიდგა, რადგანაც, ელგუჯას მაგიერ, იმას შეხვდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი, რომლებიც გამოეგზავნა ნაჩალნიკს ელგუჯის დასაჭერად.

იმათ ისარგებლეს მათიას შეკრთომით და შევიდნენ სახლში.

— შენა ხარ ელგუჯა? ჰკითხა ერთმა ყაზახთაგანმა მათიას, რომელსაც ამოღებული ხანჯალი ისევ ხელში ეჭირა და გაშტერებული შეჰყურებდა.

სხვა ყაზახებს თოფები წამოეყენებინათ ფეხზედ და ისე მიეშვირათ მათიასთვის გულში.

— მე ელგუჯა არა ვარ? უპასუხა იმან და გასწორდა.

— ჩააგე ხანჯალი!

— ხანჯალი? ჩაცინებით უპასუხა იმან.—რაისთვი?

— ჩააგე მეთქი.

— რაისთვი ჩავაგო? თქვენ რაი საქმე გაქვსთ ჩემს ხანჯალთან?... თქვენ ელგუჯას ეძებთ და ის შინ არაა?

— სტყუი! დაუბაკუნა ფეხები ყაზახმა.—შენა ხარ ელგუჯა და შიშით მალავ შენს სახელს.

— ღომისის მადლმა, ელგუჯა არა ვარ, თორემ არც მაგდენს გელაპარაკებდით.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მზალვე გამოვარდა შეშინებულის სახით და მუხლებზედ მოეხვია განრისხებულს ყაზახს, მაგრამ იმან მკაცრად ხელი ჰკრა იმას და უბძანა ყაზახებს:

— დაიჭირეთ! და უჩვენა მზალვეზე.

ამ დროს მათია გადახტა უკან და მოეფარა იმ კასრს, რომელიც იქვე ქერით სავსე იდგა, ყაზახებმა წაიწიეს წინ, მაგრამ მათიამ კედლიდგან თოფის ჩამოღება მოასწრო, გადმოუშვირა თავის საფრიდგან და შემოსძახა:

— შედეგით, ღომისის მადლმა, თორემ ვინც თქვენგან ფეხს წამოსდგამს, იმას მზე გაუშავდება!

— ელგუჯა! დაყარე იარაღი გირჩევთ, თორემ უფრო ცუდად მოგივა საქმე.

— იარაღს კი არ დავყრი და მომკალით თუ შეგიძლიანთ... თუ არა და რაი გინდათ ჩემგან? მე ელგუჯა არა ვარ; მე მათია ვარ.

— მაშ დაიჭირეთ ეს ქალი. უბძანა ყაზახებს იმათ მოთავემ და უჩვენა მზალვეზედ, რომელიც კედელს აჰკროდა და ცახცახებდა შიშისგან.

ყაზახები მისცვივდნენ შეიპყრეს ისა და წივილ კივილით გაათრიეს გარეთ. მათიას თვალები ცეცხლით აენთო, რა კი მზალვე იმ ყოფაში დაინახა . . . . : და გონება დაბნეული, ანგარიშ მიუცემელი, გადმოხტა თავის საფარიდგან. ის მივარდა მოთავე ყაზახს და ისე ძალზედ ჩასცა ხანჯალი, რომ ტარამდინ ჩასვა იმის მკერდში. დაჭრილმა დაიღრიალა საზარელის ხმით და უსულოდ დაეცა დედა-მიწაზედ.

— ეხლაც უბრძანე დედა-კაცების დაჭერა! ნიშნ-მოგებით დაუძახა მათიამ.

გავარდა თოფები მაგრამ მათია არა გრძნობდა დასჭრეს ის თუ არა და გაექანა დანარჩენებისაკენ. იმას თვალ წინა ჰყავნდა მარტოკა მზალვე, რომელსაც ყაზახები მიათრევდნენ და ამისთვის ის იბრძოდა გამწარებით, მაგ-

*) იხ. „დროება“ № 249.

დენტი პინმე მესხი გვწერს შემდეგ ამბავს:

„ახალ-ციხეს ვნახე ერთი ვილცა ჩინოვნიკის ალექსანდრე ძრუპოვსკისთან ქართველთ მეფეთ დროშის შუბი 7 ვერშოკის სიგძით, ზედ აწერია ოქროს ასოებით მხედრულად:

„ქ. მომეც შენ უფალო შეწევნა
ჯვრისა, რომელ ღვთისა მიერ
ვჰქონდა ძალი: და მან
შეურაცხ ჰყოს მტერნი ჩვენნი!“

„ეს დროშის შუბი თფილისში ვილაც თავადის შვილს უჩუქებია, თუ დაუთმია, ზემო-ხსენებული პირისათვის ამ რამდენიმე წლის წინად მიკვირს და დიდად მიკვირს; ამისთანა ძვირ-ფას სამახსოვროებს რა პირით იმეტებენ და უცხო პირთ აძლევენ! ჩვენ გარეთგან ვსცდილობთ სიძველეების შეკრებასა და თფილისში ვაგზავნით, როგორც ჩვენს სატახტო ქალაქში, და თფილისელები კი თავიანთ ხელთ ქონებულ ძვირფას ნივთთა აქა-იქ აბნევენ!

„ჩემის ყმაწვილობისა 35 წლის წინად მინახავს იმერეთ ლომრათხევში ძვირ-ფასი ნივთები; საძირკვლის თხრაში საფლავი გაეხსნათ, მიცვალებული ყოფილიყო დამარხული სამხრით ჩრდილოეთისაკენ; ფარი ეპოვნათ მოთვალული დიდრონი აყიყებით და თვლებით, შუაში მარგალიტი სჯდომიყო, სწორედ, როგორც მითხრეს, პატარა ჩიტის ოდენი იყოვო ის მარგალიტი; ერთი ღვინის ფერი თვალიც ვნახე, ისპა ჰგავდა, შიდ რომ გაგეხედა ჭიგოზედ აყვანილი ვაზი სჩნდა საკვირველად ცხოველად ვაზის ღერ-კლერტ ფოთლებით და მსხმოიარე ტევნებით ასე, რომ თითქოს სარკეში მიგეპყროს ვაზები წარმოსადგენადო! ორიც ლურჯი იაგუნდები ვნახე სიმინდის მარცვლის ოდენი, ისე ბრწყინვალე მარავანდ მომფინარი, რომ შორითგან სირაქლემის კვერცხის ოდენი სჩნდნენ.

დაწერილი მქონდა იმ მოსახლის სახელი და გვარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქაღალდი დამკარგვია.

„ერთიც ს. ფუთში ვნახე ოქროს საყურეები ისეთი დიდრონი, რომ შეუძლებელია ამ ჩვენს დროში მისი ხმარება.

„რამდენი ამისთანა სიძველენი მოიძევა ჩვენს ქვეყანას, უმეცრობით და უნაღვლელობით კუნჭებში მალვა-ჩმაგვით ფუჭდება და იკარგება. ურიგო არ იქნება ადგილობრივ ადმინისტრაცია, მღვდლები, მამასახლისები და ნაცვალნი მიაქცევდნენ რიგიან ყურადღებას ამ სასარგებლო ისტორიულ სამასალო საგნებსა, შეჰკრებდნენ და წარადგენდნენ „არხეოლოგიურ-ისტორიულ წრეში.“

* * *

ზურიდამ გვწერენ:

„ნეტავი იმ ბედნიერს ქალაქებს და მაზრებს, სადაც განათლებას იქამდინ მიუღწევია, რომ არა თუ კაცთ დამცველი, პირუტყვთ დამცველი საზოგადოებაც კი არსებობს. ჩვენს მაზრაში არა თუ პირუტყვთ დამცველი, თვითონ ადამიანთ დამცველებსაც კი თავიანთი თავიც ვეღარ დაუცავთ. ხალხს ვერ გაუგია თუ როგორ შეიძლება ამ უბედურებისაგან თავის დახწევა.

„წასრულს და აწ მყო წლებში სოფლის საზოგადოებებში რამოდენიმე ჯერ იყო ყრილობა იმის თაობაზე—თუ როგორ მოისპოს ქურდობა. თვითონ მაზრის მოხელეებმა მისცეს ხალხს წინადადება, თუ როგორ შეედგინათ განჩინება. მაგალითად, ასკანის საზოგადოებაში დაასახელეს თერთმეტი კაცი ქურდებად და წარუდგინეს მაზრის უფროსს; მაგრამ თავი ქურდები მაშინვე გადიმალენ.

„ერთს საზოგადოებისაგან ამორჩეულს ქურდს—ჭ—ს მეორე დღესვე, შემდეგ განჩინებისა, ამოუჩინა მამასახლისმა ჭერზე მთელი ძროხა თავის ტყავით, რომელიც მოეპარა თავის მეზობლისათვის; დაიჭირეს ქურდი, დააკრეს ზურგზე ძროხის ხორცი და ტყავი და მიჰგვარეს მაზრის უფროსს; მაგრამ მესამე დღეს, რაღაცა მანქანებით, შინ მობძანდა და დღესაც შინ ბძანდება.

„ორი, უმთავრესი ხალხის შემაწუხებელი ავაზაკი, რომელიც განჩინების პირველს სტრიქონში ეწერა გარდასასახლებელად და რომელთ შესახებ სამი-ოთხი გზობა ითხოვა მთელმა ყრილობამ დასაკარგად, ჩავიდნენ ბათომში და დრუჟინაში ჩაეწერნენ! სხვები დაბრძანდებიან არხეინად სოფლებში. ერთი იმათგანი, მობრძანდა ამ კვირაში ბათომიდგან შინ; მობრძანდა თუ არა, მესამე ღამეს გაცარცვეს ორი მოსახლე კაცი: ერთი ამათგანი ისე გაქურდეს, რომ გამოსაცხადებლად რომ წასულიყო მამასახლისთან ტანზე ჩასაცმელი ჩოხა არ ჰქონდა. მეორე გლეხს სახლში ქოთანიც აღარ დაუტოვეს, ლობიო რომ მოეხარშა და ეჭამა. იმ ახალ მოსულმა ჩაიდინა ეს თუ სხვამ, ის მაღლა ღმერთმა იცის, მაგრამ მისი ჩამოსვლა და ამოდენა ქურდობა კი ერთი იყო. მოუნდომეს ამ პატიოსანს ქურდს დაჭერა, მაგრამ იმან აიღო თოფი და ისევ დრუჟინაში გიახლა.

„პირველად არ არის, რომ მთელს ქვეყანას შევჩივით ჩვენს ამ გვარს გაჭირებას, მაგრამ კაცი არავინ ამოგვიჩნდა, რომ მოგვაქციოს ყურადღება....“

## „დროების“ კორესპონდენცია

—

**ჯავახეთი**, 25 გიორგობისთვეს. 23 გიორგობისთვეს დირექცია რამდენიმე სასწავლებელი გახსნა ჯავახეთის სოფლებში, ქარნახს, დიდ-ზონდრიას, ეშტიას, ქარტიკამს, დილიცკას, ხიზაბავრას, სათხეს და ხერთვისს (საქალებო). ხიზაბავრა ვარევნის სამამასახლისოზედ არის; ამ ვარევნის სამამასახლისოში სამი გვარი ხალხია: ზოკიის თარაქამები, აზავრეთისა, სანდოს სომხები, ალასტნისა, ვარეკნისა სომეხ-კათოლიკები, ტურცხისა, ვარევნისა, ვარგავისა, თოკისა და ხიზაბავრის მესხობა.

სასწავლებლის თაობაზედ ანღვრეულება მოახდინა სომხობამ: ჩვენ ხიზაბავრის სასწავლებელში არ მივიყვანთ შვილებსაო. პირი ერთი ჰქმნეს და მისცეს ქაღალდი დირექტორს: ალასტანში გაგვეხსნას სასწავლებელიო. ზრიგორიანი სომხობაც იძახის: აზავრეთში აშენებული სასწავლებელი გვაქვს, იქ გაგვეხსნასო,—და ვნახოთ დირექცია რა გზას უჩვენებს.

ხიზაბავრის სკოლა სრულებით მომზადდა და იხსნება დღეს. 21 მღვთის მშობლის ტაძრად-მიყვანებად წირვის შემდგომ იკურთხა სასწავლებელი და წაკითხულ იქმნა სიტყვა მ. ზვარამაძის მიერ, რომელმანც ასე დაასრულა ეს თავის სიტყვა:

„... ჩვენთ წინაპართ დაუტოვებიათ ჩვენთვის ესრეთი ბუნებით მდიდარი ქვეყანა, შემკობილი ურიცხვის მარად სახსოვრებითა, და თვითან გაუვლიან, წასულან და გულ-ხელ დაკრებილნი შავ მიწის ქვეშ სამარეებიდგან ამოგვცქერიან, მოელიან ჩვენგან სანუგეშო რამე ხმასა და არ უსრულდებათ დღემდის სურვილი, ნატვრა. მით მათგან ნაშთნი ციხე-კოშკნი, ტაძრები, მონასტრები და ნანგრევ-ნაოხარნი მრავალგან ტყე-ღრედ, მთად თუ ბარად თავ-მოფუშვით სამგლოველო ძაძით მოსილნი, დღე-ღამ მწუხარე, უნუგეშოდ, თავს დაგვტირიან; ჭოროხით, რიონით და მტკვარიდგან გამოისმის სამგლოველო ვაების ხმა და ზარი; მათ ტყე, ღრე, კლდე და მთანი გულ-საკვდავს ბანს აძლევენ... და ჩვენ უგრძნობელობის ზეწარი წამოგვიფარებია პირის-სახეზედ და არა გვესმის-რა სრულიად! მივსდევთ უგზო-უკვლოდ ჩვენს მომაკვდინე-

---

რამ ის ჩქარა ჩაიგდეს შუაში შემოეხვივნენ გარშემო და დაუწყეს ხლმებით კუწვა.

ელგუჯა, რომელიც ახლო სოფელში იყო, პირველსავე თოფის ხმაზედ, გარედ გამოვიდა და რა შეიტყო, რომ იმათ სოფელში თოფის სროლა ასტყდა, მაშინვე გამოსწივა იქეთკენ.

გზაში რამდენიმე ბიჭი მიეგება იმას და შეატყობინეს მათიას სიკვდილი და ყაზახებისაგან იმის დასაჭერად მისვლა. ის სულ აენთო ამის გაგონებით და გამოსწია უფრო ჩქარა.

— ელგუჯავ, სად მიხვალ, ისინი შენს დასაჭერად მოვიდნენ. უთხრეს იმას და წინ გადაეღობნენ.

— ჩემს დასაჭერად?... ვნახოთ, ვნახოთ! უპასუხა იმან და გააგრძელა გზა.

— რასა იქ, შე ბედ შაო რასა!.... იმდენს ხალხში მარტოკა რა უნდა გახდე?... ნუ მიხვალ მაი დაბრუნდი....

— მაშ სტუმრის სიკვდილი შევარჩინო?

— შენც მოგკვლენ, და ის იქნება.

— თუ მომკლენ, ალალი იყოს! კაცი ერთხელ დაიბადების და ერთხელ უნდა მოკვდეს! წამოიძახა იმან და წამოვიდა.

იმისი დაყენება ვერა ღონის-ძიებით ვერ მოახერხეს, თუმცა ბევრი ურჩიეს და ეხვეწნენ.

ელგუჯა, რომელიც საზოგადოდ მოაზრებული და გაფრთხილებული კაცი იყო, ეხლა მიდიოდა ანგარიშმიუცემლად მტერზედ . . . . .
. . . . . . . . . . .

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს აზრს და ეს აზრი იყო მხოლოდ ის, რომ იმას სტუმარი მოუკლეს და ამისთვის სისხლი უნდა აიღოს, თუნდა ამ საქმისთვის თავის გადადებაც მოხდომიყო.

ამ აზრებით ის ჩამოვიდა თავის სახლთან სწორედ იმ დროს, როდესაც მკვდარს მათიაზედ, ვილაცა უპატიოსნო, თავის ხმლის მჭრელობასა სცდიდა. იმის მოქნეული ხმალი ჯერ კიდევ ჰაერში მოჰქროდა სტვენით, როდესაც ხანჯლით გულ-გაჭრილი ის დაეცა მათიას მკერდზედ. ელგუჯამ მოუღო იმას ბოლო და დაუძახა:

— ეს ერთი, მათიაუ... ნუ გეშინიან, ჯერ კიდევ ბევრს შემოგავლებ თავსა. ამ სიტყვებით ის დაერია დანარჩენს ყაზახებს.

ყაზახებმა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს ელგუჯა, როდესაც იმან სამიოდ კაცი წააქცია ხანჯლით. აქამდისინ იმას სიბნელის გამო ვერ არჩევდნენ და ისე შეუნიშნავად შემოჰპაროდათ, მაგრამ რაკი დაინახეს ვილაცა კაცი, ხანჯალ მოწვდილი, რომელიც თავგაწირვით იბრძოდა, მოუბრუნდნენ იმას.

ელგუჯამ შეუტია იმათ, მაგრამ ერთი-ორი კაცის დაჭრის შემდეგ ის დაეცა მათიას გვერდით თავ-შუაზედ გაჩეხილი.

— მზალვე! მათია! შვილებო!..

იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც სულის დალევასთან ერთად იმან წარმოსთქვა...

ასე გათავდა ამ უბედურთ სიცოცხლე, რომლების გულიც სიყვარულის ცეცხლით სდუღდა და იმდენს მოელოდა დაუნდობელის სოფლისგან...

—

გაიარა წელიწადებმა, საქართველოში დამყარდა რუსის მმართებლობა და კანონები. ხალხი დამშვიდდა დაიწყო ახალი ცხოვრება; საუკუნოებით დაღალული ბრძოლისაგან, ის თითქოს დასვენებას ეძლეოდა. ერთობა წყნარ-წყნარად ჰქრებოდა და იმის სამაგიეროდ ყველანი თითქოს განსაკუთრებით ეხვეოდა თავ-თავიანთ საკუთარს სახვევში.

ბელს უგუნურ-უმეცრების სიბრმესა, სარწმუნოების ვარჩეულობა გვაგდებს გულში წყეულს სიმძულვარესა, თავმოყვარება და კერძო სარგებლობა გვაშორებს ერთ მეორისაგან, უსიყვარულობა გვირღვევს ტკბილ ძმურს კავშირსა, სიამაყე არ გვაძლევს ნებას, რომ ერთმანერთს შევუერთდეთ ყოველს ჩვენს სასარგებლო საქმეებში წარსამატებლად. ჩვენს შინაგან და გარეგან მტერთაც ეს უნდათ!!!

„ესენი და ამისთანა არა სანუგეშო სამწუხარო მოვლინებანი ჩვენს გმირთ წინაპართ აუპატიურებენ!.. კმარა ჩვენი ამდენი ბრმა მოქმედება. ამას იქით მაინც შევიგონოთ, ვსცნათ, ვიგრძნოთ ყოველი ჩვენი დანაკლისი და გავისწოროთ ცხოვრება ღვთის სადიდებლად და წარსამატებლად ჩვენის ქვეყნისა“.

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ხალხზე. შემდგომ საუზმეზედ დასხდნენ მღვდლისას პატივცემულნი პირნი, სადაც დაესწრო მასწავლებელი ბ. ი. წითლანაძე; დაიწყეს მესხური ძველის-ძველი სუფრული გალობები. ამ ძველმა სიმღერამ ალტაცებაში მოიყვანა სტუმრები; პირუთნებლად აღიარეს, რომ აღარც ქართლში და აღარცა იმერეთში მოიძევა ამისთანა კილო-ბანის გალობა-სიმღერებიო.

ამ რამდენიმე დღის წინად ახალციხეს ვიყავ. პური მეტად გაიეფებულა, ფუთი სამ აბაზამდის და ათ შაურამდის იყიდება. ხილეულიც იეფად, შუა რიგზედ; მაგრამ ფართალს და საწვრიმალოს სიძვირით ცეცხლი ეკიდება, მეტადრე ქართველ კაცს აჭარელს, შავშ-კლარჯთა და მისთანათ არ გაევლებათ: ამქრობის მოთაოეთ სიტყვა ერთად შეკრული აქვთ, მათ მოტანილ ქინახულ-ხილეულ სოოხერ ფასად აცლიან ხელითგან და თავათ სავაჭროს კი ძვირ-ძვირად ჰყიდიან. ერთი აჭარლისათვის მიეყიდათ შინაური სამოსელი ნახევარ არშინის განისა, არშინი სამ შაურად, რომელიც ნახევარ შაურად, და ბევრი რომ ვსოქვათ, ერთ შაურად არც კი ღირდა. ამის დაგვარ ეპყრობიან სხვა სავაჭროებშიაცა!

რა ჰქნას გაჭირვებულმა გლეხმან, პატრონი არავინ ჰყავს? მმართებლობა სრულიად ყურადღებას არ აძლევს ამისთანა წვრილმან რამეებსა. ყარსი აიყარა, გარდასახლდა ოსმალეთში. არტაანი გირდასახლდა, აჭარის ნახევარიც წავიდა და დანაშთენი ნახევარიც ემზადება აყრას-გარდაკარგვასა, რადგან ცოტა რამ ნახეს საიმედო ჩვენს ხელში. საწყლები ოსმალოში ტყვეობას, ტანჯვას უფრო ირჩეულობენ, ვიდრე ჩვენთან სიხარულ-ლხინსა? ნუ თუ მართლა ეგრედ უჭკუო და წინ დაუხედელნი არიან? არა, მაგრამ „გაჭირვება მიჩვენე გაქცევას გიჩვენებო“—ეს არის ეს არის მათი გარდახვეწის მიზეზი!

გინმე მესხი.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! „დროების“ 232 №-ში დაბეჭდილს ჩემს შენიშვნაზედ „დროების“ 243 №-ში „ლაილაშელი“ პასუხს მაძლევს. ამ პასუხში ის გვარწმუნებს, რომ ყოველივე, რაც ჩემს შენიშვნაში მოყვანილი იყო შესახებ ლაილაშის ბლაღოჩინისა, „ცილის-წამება არისო“ და ამ გვარ ცილის-წამებას აწერს „რაიმე ჩემს პირად ანგარიშს“.

ვინმე „ლაილაშელმა“ თუ „ლორეთელმა“ რომ თქვა: ეს ასე კი არ არის, ასე არისო, მე მგონია, ეს ძრიელ სუსტი საბუთი იქნება რაიმე ფაქტების გასამტყუნებლად. შეიძლება ბ. ლაილაშელი დიდი ავტორიტეტი იყოს, მაგრამ ნუ გაგვიწყრება თუ იმის სიტყვებს ვერ ვერწმუნოთ, რადგან იმის ვინაობა არ ვიცით.

ბ. „ლაილაშელის“ წერილი ყურადღების მისაქცევი არ არის და არც ღირდა რამ მეთქვა მაზედ, მაგრამ, რადგან დღეს ერთს პატივ-საცემს ლაილაშიდამ მოსულს მებატონეს შევხვდი, რომელმაც არა თუ მარწმუნა ყოველივე მაზედ, რაც ჩემგან „დროებაში“ აღწერილი იყო, შესახებ ლაილაშის ბლაღოჩინისა, არამედ ბევრი სხვა რამეც მაცნობა, ამისათვის კიდევ საჭიროდ ვპოებ ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა.

თუმცა ბ. „ლაილაშელი“ ყოველივე ჩემგან ნათქვამს ბ. ბლაღოჩინზედ აწერს ჩემს „რაიმე პირად ანგარიშს“, მაგრამ არავითარი „ანგარიში“ ამ შემთხვევაში მე არა მაქვს და მასთან დღესაც არ ვიცი რა ჰქვიან, რა გვარისაა და ან რა სახისაა ლაილაშის ბლაღოჩინი და ჩემს დღეში თვალითაც არ მინახავს. თუ მის რომელიმე ხალხისათვის საზიანო და შემაწუხებელს მოქმედებას ანუ განკარგულებას შევეხე, ეს მისთვის მხოლოდ, რომ საზოგადოებამ და სასულიერო მმართებლობამ მიაქციოს ყურადღება და შემდგომისათვის აღარ მისცენ ნება ამ გვარის მოქმედებისა.

ზემო-ხსენებულ ჩემმა ნაცნობმა თ. ბ. დამარწმუნა, რომ ბ. ბლაღოჩინმა თურმე თითონ შემოიარა ყველა სოფლის საზოგადოება, „სხოდი“ შეაყრევინა ყველგან და დააწესებინა ყარაულობა, რომ უქმე დღეს არავინ არ ივაჭროს და არც არა ბაზარში შეიტანოს გასასყიდად. ამას გარდა ყველა ვალდებულად გახადა, არა თუ მარტო გლეხობა, თავად-აზნაურობაც მეტი ნაწილი, რომ მარხვა შეინახონ და ვინც არ შეინახოს, ხუთი შაურიდამ თითო მანეთამდე გადიხადოს (?) და ამასთანავე, მეორედ მოსვლის გადასაშორებლად (?), თითოეულს პირზედ დაუდევს დღეში სამასი მეტანია და სხვა!

რასაკვირველია, მღვდელმა ღვთის სასოების დაკარგვა ხალხს არ უნდა მოუწონოს, მაგრამ მუშა ხალხმა რომ თავისუფალის დღით ისარგებლოს და უქმე დღეს რამე ბაზარში გასასყიდად შემოიტანოს, მე მგონია ეს ღვთის საწყენი არ იქნება და არც სჯულის დამარღვეველი. ნუ თუ მოსაწონია ის, რომ საწყალს გლეხს ურმიდამ ხარები გამოუხსნეს შაბათს საღამოს, „დაუქმდაო,“ არ მისცეს ნება მოტეხილი სიმინდი შინ წაეღო და რამოდენიმე ურემი სიმინდი მთლად ღორებმა შეუჭამეს? კარგად ვიცით, რომ არც იესო ქრისტე და არც მისი მოციქულები იარაღით და მძლავრობით არავის აძალებდნენ ღვთის სიტყვების შეგონებას დაასრულებას, არამედ ლმობიერის და საგრძნობის ქადაგებით და თვისის სამაგალითო ქცევა-ყოფნით იძენდნენ თაყვანის-მცემლებს და არაოდეს მათ ამისათვის ყარაულები არ დაუყენებიათ და არც არავითარი ჯარიმა არ დაუწესებიათ.

როგორც უბრალო მღვდელს, უფრო კიდევ ბლაღოჩინს თავის საზოგადოებაში უნდა ჰქონდეს იმდენი ყურადღება და პატივისცემა დამსახურებული, რომ მათ სიტყვას და დარიგებას ძალა-დაუტანებლადაც გავლენა ჰქონდეს ხალხზე და თუ ამას ვერ დაიმსახურებენ, მაშინ თითონ ისინი არიან დამნაშავე და არა ხალხი. შიში და ძალის დატანება გამოიწოდებს მალვით წინააღმდეგ მოქმედებას და კაცის ზნეობას და აზრის წყობილებას ვერ შესცვლის.

დ. ლ.

ქუთაისი, 25 ნოემბერს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კედიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობი-

---

დაივიწყეს ბევრი წარსული ჩვეულება, წარსული აზრები, ურომლისოდაც მაშინ ცხოვრების შეძლება არ ეგონათ. დაივიწყეს ელგუჯა და მათიაც, როგორც სხვა მათი მედროე ხალხი.

გარდაიცვალა სვიმონის ცოლი და იმის ადგილი დაიჭირა იმის უფროსმა რძალმა, რომლის ქმარიც სამხედრო სამსახურში შესულიყო და ისე ბედნიერად მსახურებდა.

მართებლობამ დაიწყო ბატონყმების, გვარ ტომობის და მამულებზედ დავების გარჩევა. იმ საქმეების არეულებაში, როგორიც მაშინ იყო, ყველა ცდილობდა მეტი კაცები დეეწერინა თავიანთ სახელობაზედ ყმად; მეტი მამული დაეჭირათ და თავადებთ სიაში ჩაწერილიყვნენ, რომელსაც განსაცვიფრებელის გამოცდით ახერხებდნენ.

ერთს დღეს სვიმონის უფროსი შვილი დაბრუნებულიყო სამსახურიდგან შინ, რადგანაც იმის მამულსა სწვეოდა ჩინოვნიკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ყმებისა და სახელმწიფო გლეხ-კაცების კამერალური აღწერის შედგენა.

რასაკვირველია ამ გვარს შემთხვევაში, გულ უხვი ქართველი მებატონის სახლი, ისე არ დადგებოდა, რომ მსუქანი ვახშამები, გალაზათიანებული კარგის კახურის ღვინით, არ გაემართა.

ამისათვისაც სვიმონის სახლში იყო გამართული ლაზათიანი ნადიმი, იმ პირისათვის, რომლის კალმის მოსმაზედაც იყო დამოკიდებული გლეხკაცთ ყურ-მოჭრილ ყმად, თუ თავისუფლად გახდომა.

გლეხ-კაცები დარწმუნებულნი, რომ უპატრონოდ, უბატონოდ, ე. ი. უმსარჩვლელოდ, იმ ხანში დარჩენილი, როდესაც დიანბეგ და ნაჩალნიკს, უსუდოდ შეეძლოთ რაცა სურდათ ის ექნათ, ცხოვრება-წვა დადგვა იყო, გარბოდნენ და უცხადებდნენ რომელიმე შეძლებულ, ძალა მქონებელ მებატონეს ყმობას. ამ გვარად ისინი ხდებოდნენ სხვა-დასხვა პირების საკუთრებად.

როდესაც ჩინოვნიკმა გაათავა თავისი მუშაობა, თქვენ რომ თვალი გადაგევლოთ იმის რვეულისათვის საბატონო ყმების სიაში, ამოიკითხამდით: „მჭადგე ნასყიდაშვილისა, თავის ორი შვილით!“

დიახ,—მზალვე შეიქნა, თავის შვილებით ერთად მებატონის საკუთრებად და ეს ხალხი ამ შემთხვევამ დააყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ სხვათაშორის გულის ძგერით მოალოდინა ის დრო, როდესაც ბატონყმობის გადავარდნის ხმა გრგვინვასავით გაელიდა საქართველოში, და ათას წამებულს ლოცვით თვალს მიაპყრობინებდა ზეცისკენ. *)

ა. მოჩხუბარიძე.

(დასასრული)

---

*) ზოგი გაზეთში ადგილის სიმცირის გამო, ზოგიც სხვა-და-სხვა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ეს მოთხრობა ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც მომზადებული იყო. ამ ცოტა ხანში-კი ცალკე წიგნად, უფრო ვრცლად, და შესწორებული გამოვა.

ავტ.

სა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ქირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ქირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


## განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკეცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—66)

---

ვილებ გასაკეთებლათა კანკელსა, სტალიარისა, ჩუქურთმისა, და ვარაყის საქმეებს. ვაკეთებ აგრეთვე სურათისათვის რამკებსა და ვსხამ შუშებსა. აგრეთვე სურათებს ვფერავ ლაქით, რომ გაბრწყინდეს მშვენიერათა. საზოგადოებას ყოველთვის შეეძლება, რომ ზემო-აღნიშნული საქმეები სუფთათა გაკეთებული მიიღონ და რაც შეიძლება იაფად.

ფაბრიკა ჩვენი იმყოფება საპიორის ქუჩაზე, მელიქოვის სახლის უკან, მაღაზია. № 8

(3—1) დავით გიგაური.

---

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—85)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავების გასასყიდად კანფეტების და მატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას გიარები.

(100—48)

---

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

გადმოვიდა ცენტრალური

## სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, გარანცოვის მეგლის პირ და პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ იაფასის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყურადღებით შემიმკაია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრავალ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—13) ლევან ოლახერაშვილი.

---

### მოწმობა

მოწმობა ესე მიეცემის თფილისის გუბერნიის საექიმო განყოფილებიდამ თფილისას მეორე გილდიის ვაჭარს სამსონ მიხაილის-ძის მდებროვს, რომ პროვანსის ზეთი, რომელიც მზადდება მის ქარხანაში მედიკურის გამოკვლევის შემდეგ, აღმოჩნდა კარგის ხარისხისა, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამტკიცებთ ენკენისთვის 11-ს 1881 წელსა ქ. თფილისი. თფილისის გუბერნიის ექიმისს თანამდებობის აღმასრულებელი სტატსკი სოვეტნიკი.

ვ. კარპოვიჩი.

**ამასთანავე ვაცხადებ,** რომ მე თითონ პასუხს ვუგებ ჩემი ქარხნის ზეთის სიკარგეში იმ პირთ, რომელნიც მას იყიდიან პირ და პირ ქარხანაში, ანუ სალდათისბაზარში № 11, სადაც ისყიდება გერმოდ ჩემი ფირმის ზეთი.

კოპტონი.

აჭამეთ თქვენ საქონელს ჩემი ქარხნისა, რომ ათ დღეში შესანიშნავად გაგიხუქდეთ: საქონელი ფუთი აოი მაური ყოველ კამისიას მტკიცედ და მწრაფლად კასრულებ. კრევნის ქუჩაზედ, ჩემს საკუთარ მამულში.

(5—5)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ.

(100—39)


## თფ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 4 ქრისტეშობისთვეს, შუადღეზე, გამგეობის თანა-დასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) შემდეგ საშენებელ მუშაობაზედ.

1) უნდა გათავდეს მნაცაკანის ხიდის მარცხენა ბურჯის მუშაობა.

2) უნდა დაფეინოს ფიცრები, საზოგადოდ გათავდეს ხის მუშაობა ამავე ხიდისა.

და 3) უნდა გაკეთდეს ამ ხიდიდამ ავლაბარზე ასასვლელი გზა (მიწის მუშაობა და მოკირწყვლა).

პროექტები, ხმეტა და პირობანი ამ მუშაობისა მსურველს შეუძლიან ნახოს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ უქმ დღეებს გარდა.

ვაჭრობა შეიძლება ან თითოეულ ამ ზემოხსენებულ საგანზე ცალ-ცალკე და ან ყველაზე ერთად.

(3—3)


ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი — 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—21)

---

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკლი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშჩები, განები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტაშტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები, — **ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ. — წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—38)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—62)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი